სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

02614412109011

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N111315405

რეგისტრაციის თარიღი

01.12.2011 წ

ნოტარიუსი: სოსო მუმლაძე
მისამართი: ქ.თბილისი ჟ. შარტავას ქ. 42
ტელეფონი: (8 22) 37 48 11

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 66 19 18

12/1/2011 2:24 PM

ს ა ნ ო ტ ა რ ო ა ქ ტ ი
ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ორიათას თერთმეტი წლის პირველ დეკემბერს მე, სოსო მუმლაძეს, ნოტარიუს საქართველოში ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე : ქ.თბილისი, ჟ. შარტავას 42-ში, მომმართა შპს „პეგასი"-ს (რეგისტრირებული 23/12/ 2010 წ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის რეგ. ცენტრი ვაკე-საბურთალოს განყოფილების მიერ, საიდენტიფიკაციო კოდი 404882640, იურიდიული მისამართი: საბურთალოს ქ.43, ბინა 37, რაც დასტურდება ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრიდან, განაცხადის №207062 განაცხადის რეგ. № B10194345 მომზადების თარიღი 23/12/ 2010 20:47:13), დირექტორმა გურამი გოგოლაძემ, რომელმაც განაცხადა, რომ სურს სანოტარო აქტის (მინდობილობის) შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად გურამ გოგოლაძემ (დაბადებული 16.06. 1971 წ. ბორჯომი, პირადი №11001004242 მოწმობის №a0187610 გაც. 27.02. 1998 წ. ბორჯომის შს რ-ის მიერ, მოქმედების ვადაა -20 წელი, მცხ.თბილისი, საბურთალოს ქ. 43, ბ. 37), მომმართა.

მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. შემდეგ შევადგინე წინამდებარე მინდობილობა, რომელიც წავაკითხე და განვუმარტე მას. შემდეგ მან წაიკითხა მინდობილობა, მკაფიოდ განაცხადა, რომ ტექსტი ზუსტად გამოხატავს მის ნებას და ჩემი თანდასწრებით მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორიათას თერთმეტი წლის პირველ დეკემბერს შპს „პეგასი"-ს (რეგისტრირებული 23/12/ 2010 წ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის რეგ. ცენტრი ვაკე-საბურთალოს განყოფილების მიერ, საიდენტიფიკაციო კოდი 404882640, იურიდიული მისამართი: საბურთალოს ქ.43, ბინა 37, რაც დასტურდება ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრიდან, განაცხადის №207062 განაცხადის რეგ. № B10194345 მომზადების თარიღი 23/12/ 2010 20:47:13), დირექტორმა გურამ გოგოლაძემ წინამდებარე მინდობილობით **კობა კობალაძეს** (დაბ. 10.08. 1975 წ. თბილისი, მცხ. ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. VII კვ. კ. 7, ბინა 36, პირადი № 01009003790 მოწმობის № გ0782567 გაც. 27.09. 2005 წ. სრს ვაკის სამსახურის მიერ, მოწმობის მოქმედების ვადა- 27.09. 2025წლამდე), მიანიჭა შემდეგ უფლებამოსილება : წარმოადგინოს ჩემი, როგორც შპს „პეგასი"-ს დირექტორის ინტერესები ყველა საჭირო დაწესებულება-ორგანიზაციებში, მათ შორის ქ. თბილისის მერიაში, ქ. თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურში, რათა განახორციელოს შპს „პეგასი"-ს სახელით ნებისმიერი საქმიანობა, პროექტების და ნებისმიერი დოკუმენტაციის წარდგენა, მოაწეროს ხელი ჩემს მაგივრად ყველა საჭირო დოკუმენტაციას და შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც დაკავშირებულია ამ დავალების შესრულებასთან.

მინდობილობა გაცემულია განუსაზღვრელი ვადით და ძალა'შია მის გაუქმებამდე

გადახდილია სანოტარო მომსახურეობის საზღაური: 13.80 (ცამეტი ლარი და ოთხმოცი თეთრი) ლარი, აქედან: 10.00 (ათი) ლარი (თანახმად „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის, საზღაურის შესახებ საქართველოს კანონის 29-ე მუხლისა), დდგ: 1.80 (ერთი ლარი და ოთხმოცი თეთრი) ლარი (თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა), 2.00 (ორი) ლარი (დდგ-ს ჩათვლით) სანოტარო მოქმედების ელექტრონულ რეესტრში რეგისტრაციის საფასური (თანახმად „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისთვის საზღაურის შესახებ" საქ. კანონის 31.1 მუხლისა).

მინდობილობის გამცემი:

ნოტარიუსი ს. მუმლაძე